

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

2022



ელექტოენერჯიის ბაზრის მიმოხილვა



ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

აკტორები:

მარიამ ნულუკიძე
უფროსის მოადგილე

✉ m.tsulukidze@iset.ge

გურამ ლობჯანიძე
მკვლევარი

✉ guram.lobzhanidze@iset.ge

ერეკლე შუბითიძე
მკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- ელექტროენერჯის გამომუშავება 13%-ით გაიზარდა, რაც ჰესების (+6%), თბოსადგურების (+42%) და ქარის სადგურების (+5%) გამომუშავების ზრდამ განაპირობა.
- ელექტროენერჯის წყაროებს შორის წამყვანი კვლავ ჰიდროენერჯია იყო, რომელზეც გამომუშავების თითქმის 76% მოდიოდა.
- ელექტროენერჯის იმპორტის დიდი ნაწილი რუსეთიდან შემოვიდა და მეტწილად აფხაზეთს მოხმარდა.
- წინა წელთან შედარებით საქართველოს ექსპორტი მნიშვნელოვნად (+148%) გაიზარდა და მეტწილად თურქეთში გავიდა.
- 2021 წელთან შედარებით, ექსპორტის საშუალო შენონილი ფასი 134%-ით გაიზარდა.
- ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსის (HHI) მიხედვით, საქართველოს ელექტროენერჯის სამომხმარებლო ბაზარი კვლავ კონცენტრირებულია და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი კლების ტენდენციით ხასიათდება.


შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰესი	ჰიდროელექტროსადგური
თესი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მიწოდებისთვის
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ესკო	ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი

1. წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2022 წელს საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 14,247 მლნ. კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა, რაც წლის წლიური გამომუშავების რეკორდული მაჩვენებელია. აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 13%-იან ზრდას წარმოადგენს (2021 წელს სრული წარმოება 12,645 მლნ. კილოვატსაათი იყო) (დიაგრამა 1). ელექტროენერჯის წარმოების ყოველწლიური ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (+6%), თბოელექტროსადგურების (+42%) და ქარის ელექტროსადგურების (+5%) მიერ გამომუშავებული ენერჯის წარმოების ზრდამ განაპირობა.


დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის წარმოება და წლიური ზრდის მაჩვენებელი



წყარო: ესკო

წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. ჰიდროელექტროსადგურებში წარმოებული ელექტროენერჯის წლიურმა მაჩვენებელმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. 2022 წელს ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 10,771 მლნ. კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 75.6%); ქარის ელექტროსადგურების წარმოება - 88 მლნ. კილოვატსაათს (სრული წარმოების 0.6%); თბოელექტროსადგურების (თესების) წარმოება - 3,388 მლნ. კილოვატსაათს (სრული წარმოების 23.8%).


დიაგრამა 2 - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



წყარო: ესკო

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 14,181 მლნ. კილოვატსაათი შეადგინა, რაც აგრეთვე რეკორდული წლიური მაჩვენებელია. მთლიანობაში, მოხმარებული ელექტროენერჯია 2022 წელს 3%-ით გაიზარდა 2021 წელს არსებულ 13,753 მლნ. კილოვატსაათთან შედარებით (დიაგრამა 3). 2022 წელს, გამომუშავებულმა ელექტროენერჯიამ, მოხმარებას 65 მლნ. კილოვატსაათით გადააჭარბა თბოელექტროსადგურების რეკორდულად მაღალი გამომუშავების მეშვეობით), რაც სრული წარმოების 0.5%-ს შეადგენდა (2021 წელს წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 1,108 მლნ. კილოვატსაათი შეადგინა, რაც 2021 წელს სრული წარმოების 9%-ს, ხოლო სრული მოხმარების 8%-ს გაუტოლდა).


დიაგრამა 3 - ელექტროენერჯის მოხმარება და წლიური ზრდის მაჩვენებელი



წყარო: ესკო

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია¹ (31% - 4,388 მლნ. კილოვატსაათი), თელასი (21% - 3,023 მლნ. კილოვატსაათი), აფხაზეთი (21% - 3,029 მლნ. კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (26% - 3,726 მლნ. კილოვატსაათი) (დიაგრამა 4). წლიური მოთხოვნა აფხაზეთისგან (+3%), თელასისგან (+7%), და პირდაპირი მომხმარებლებისგან (+5%), გაიზარდა, ხოლო ენერგო-პრო ჯორჯიასგან შემცირდა (-0.3%).

დიაგრამა 4 - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში




წყარო: ესკო

¹ 2017 წლის სექტემბერში, ენერგო-პრო ჯორჯიამ კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.


2022 წელს საქართველომ 1,533 მლნ. კილოვატსაათი ელექტროენერჯის იმპორტი განახორციელა (აღნიშნული მაჩვენებელი 24%-ით ნაკლებია 2021 წელს იმპორტირებულ 2,006 მლნ. კილოვატსაათთან შედარებით) (დიაგრამა 5). ზედიზედ მეორე წლის განმავლობაში, რუსეთი მთავარი იმპორტიორი იყო. ენერჯის 83% რუსეთიდან შემოვიდა (საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ელექტროენერჯის 71% აფხაზეთს მიეწოდა), თურქეთიდან - 9%, ხოლო აზერბაიჯანიდან - 8% (დიაგრამა 6).

დიაგრამა 5 - იმპორტი და წლიური ზრდის მაჩვენებელი



წყარო: ესკო


დიაგრამა 6 - იმპორტი ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო


2022 წელს ელექტროენერჯის ექსპორტი 148%-ით გაიზარდა, 2021 წელს არსებული 391 მლნ. კილოვატსაათიდან, 971 მლნ. კილოვატსაათამდე (დიაგრამა 7). ელექტროენერჯის ექსპორტში მთავარი პარტნიორი თურქეთი იყო, სადაც ექსპორტირებული ენერჯის 89% გავიდა. თურქეთის შემდეგ, ექსპორტირებული ენერჯის ყველაზე დიდი ნაწილი (10%) სომხეთში, დარჩენილი 1% კი - აზერბაიჯანში გავიდა (დიაგრამა 8).

დიაგრამა 7 - ექსპორტი და წლიური ზრდის მაჩვენებელი



წყარო: ესკო


დიაგრამა 8 - ექსპორტი ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო

2022 წელს ელექტროენერჯის იმპორტის საშუალო შეწონილი ფასი წლიურად 4%-ით გაიზარდა (2021 წელს არსებული 7.84 თეთრიდან კილოვატსაათზე - 8.17 თეთრამდე კილოვატსაათზე). 2022 წელს ელექტროენერჯის ექსპორტის საშუალო შეწონილი ფასი წლიურად 134%-ით გაიზარდა (2021 წელს არსებული 10.77 თეთრიდან კილოვატსაათზე - 25.17 თეთრამდე კილოვატსაათზე) (დიაგრამა 9).

დიაგრამა 9 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები




წყარო: ესკო

2. ბაზრის კონცენტრაცია

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს ვიყენებთ იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. როგორც დიაგრამა 10-ზეა ნაჩვენები, 2022 წელს საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავებს ბაზრის ინდექსი კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს მცირედით ჩამოცდა (HHI 2,379 ერთეული). აღნიშნული კი მცირედით აღემატება 2021 წელს არსებულ მაჩვენებელს (2,291).


დიაგრამა 10 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისთვის HHI მოხმარების ინდექსი ისტორიულად 2500 ერთეულზე მაღლა ნარჩუნდებოდა, რაც ბაზრის მაღალკონცენტრირებულობაზე მიუთითებს, 2019 წელს ბაზრის გახსნამდე.² ბაზრის გახსნის შემდეგ უკვე მეოთხე წელია, რაც ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისთვის HHI ინდექსის მაჩვენებელი ზღვრულ მნიშვნელობაზე, 2500-ზე დაბალია. 2022 წლის HHI ინდექსი თანახმად, საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზარზე მოთხოვნა კონცენტრირებული იყო, HHI ინდექსი კი 1,942 ერთეულს გაუტოლდა. მოხმარების საბაზრო კონცენტრაციის სეგმენტში დადმავალი ტენდენცია აღინიშნება.

² მას შემდეგ, მსხვილმა მოხმარებლებმა ბაზარზე ელექტროენერჯის შექმნა, პირდაპირი მოხმარებლების სახით დაიწყეს. HHI ინდექსის შემცირების მთავარი მიზეზიც სწორედ ბაზარზე ბევრი ინდივიდუალური მოხმარებლის შემოსვლაა.

დიაგრამა 11 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო